



ეროვნული
დემოკრატიული
ინსტიტუტი

**ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI)
საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის განცხადება
საქართველოს 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით**

29 ოქტომბერი, 2018
თბილისი, საქართველო

შესავალი

წინამდებარე განცხადება წარმოდგენილია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საარჩევნო სადამკვირვებლო დელეგაციის მიერ 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით. დელეგაციას, რომელიც ექვსი ქვეყნიდან წარმოდგენილი დამკვირვებლებისგან შედგებოდა, ხელმძღვანელობდნენ: პერ ეკლუნდი, ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი საქართველოში; ლორი ფულტონი, აშშ-ის ყოფილი ელჩი; ოდრი გლოვერი, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) ყოფილი დირექტორი; კენეტ იალოვიცი, აშშ-ის ყოფილი ელჩი საქართველოში; მარია ბაბიჩი, საერთაშორისო ექსპერტი საარჩევნო საკითხებში; ლორა თორნტონი, NDI-ის გლობალური ექსპერტი და საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი; და მელისა მუსიო, NDI-ის საქართველოს, თურქეთისა და ცენტრალური აზიის პროგრამების დირექტორი. ეს განცხადება ოთხი გრძელვადიანი ანალიტიკოსის მიერ გაწეული სამუშაოს შედეგებსა და ივლისში გამოქვეყნებულ წინასაარჩევნო დელეგაციის ანგარიშს ეფუძნება.¹

NDI-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიზანია საარჩევნო პროცესის სხვადასხვა ასპექტის ზუსტი და მიუკერძოებელი შეფასება და რეკომენდაციების გაცემა, რომელიც მშვიდობიანი, სანდო არჩევნებისა და პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზნის მიღწევას ემსახურება. NDI-იმ სადამკვირვებლო მისია არჩევნების საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების შესახებ დეკლარაციისა და მისი თანმდევი საერთაშორისო საარჩევნო დამკვირვებლების ქცევის კოდექსის დაცვით განახორციელა.

დელეგაცია ხაზს უსვამს, რომ ეს განცხადება არის წინასწარი. ოფიციალური შედეგები ჯერ საბოლოო არ არის და საარჩევნო პროცესებში წამოჭრილი საჩივრების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. NDI გააგრძელებს არჩევნების შემდგომ პერიოდზე დაკვირვებას და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით განცხადებებსაც გააკეთებს. დელეგაცია მიიჩნევს, რომ არჩევნების სანდოობასა და ლეგიტიმაციას საბოლოოდ საქართველოს მოსახლეობა შეაფასებს.

¹ NDI-ის წინასაარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ანგარიში, 27 ივლისი, 2018 <https://bit.ly/2CM6ei2>

შეჯამება

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც საქართველოში პრეზიდენტის ბოლო პირდაპირი არჩევნებია, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ნიშნებით ხასიათდებოდა. ძალადობის ძალიან ცოტა შემთხვევა დაფიქსირდა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) არჩევნებისთვის მზადების პროცესი ეფექტურად და ვადების დაცვით წარმართა, თუმცა გამოითქვა კრიტიკა საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლების ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით. ამომრჩევლებს პოლიტიკური არჩევანის გაკეთების საშუალება ჰქონდათ და საარჩევნო კამპანია ცოცხლად და დინამიურად წარიმართა, თუმცა იგი მწვავე კრიტიკითა და პირადი თავდასხმებით იყო გაჯერებული. მედია გარემო მრავალფეროვანი იყო, თუმცა პარტიული ნიშნით დაყოფილი, და მოქალაქეებს მრავალფეროვანი შეხედულებების მოსმენა შეეძლო. მთლიან მედია სექტორზე ფინანსური ზეწოლის გარდა, ზოგიერთი მედია საშუალება ასევე პოლიტიკური და სამართლებრივი წნეხის ქვეშ მოექცა.

ეს არჩევნები ყველაზე მეტად არჩევნების დღემდე რამდენიმე დღითა და კვირით ადრე სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან ქვეყნის საყოველთაოდ აღიარებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მათი ლიდერების წინააღმდეგ აგრესიული, პერსონალური და უპრეცედენტო თავდასხმებით გამოირჩეოდა.² სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები დემოკრატიის ძირითად საყრდენს წარმოადგენენ და საარჩევნო პროცესების მიმართ საზოგადოების ნდობას უწყობენ ხელს. ხელისუფლების თანამდებობის პირების განცხადებები, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიუკერძოებლობას, მათ როლსა და სანდოობას ეჭვქვეშ აყენებს, ამ ორგანიზაციების მიმართ საზოგადოების ნდობის შერყევს რისკს შეიცავს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე თავდასხმები არამარტო ამ კონკრეტულ საარჩევნო პერიოდს აყენებს ჩრდილს, არამედ საქართველოში მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის სხვა მხრივ კონსტრუქციული, თუმცა ზოგჯერ დამაბული, ურთიერთობისგან მკვეთრ გადახვევას წარმოადგენს. ქვეყნის ლიდერები დანარჩენი საზოგადოებისთვის მაგალითს წარმოადგენენ, შესაბამისად, არსებითად მნიშვნელოვანია, მათ ქვეყნის მოდარაჯე ორგანიზაციების მიმართ კორექტული და პატივსაცემი ტონი შეინარჩუნონ.

საქართველოს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის საჭირო ტექნიკური და სამართლებრივი ჩარჩო გააჩნია. არჩევნებთან დაკავშირებული გამოწვევები გაცილებით ფესვგადგმული და რთულად გადასაწყვეტია. არათანაბარ პირობებთან და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებული ხანგრძლივი პრობლემები კვლავაც გადაუჭრელია. ოფიციალური მონაცემები აჩვენებს, რომ ქართული ოცნების მიერ მხარდაჭერილმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა ოთხჯერ მეტი შემოწირულობა მიიღო, ვიდრე შემდგომმა ორმა კანდიდატმა ჯამურად. მან მნიშვნელოვანი სარგებელი ასევე ქართული ოცნების პარტიის ინფრასტრუქტურისგანაც მიიღო. დელეგაცია შემფოთებულია სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციური პარტიების ანგარიშებით, რომლის თანახმად საჯარო

² მმართველი პარტია ომეგა ჯგუფთან დაკავშირებულ ჩანაწერებზე არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკას პასუხობს, 10 ოქტომბერი, 2018, <http://netgazeti.ge/news/309601/>

მოხელეებზე ზეწოლა ხორციელდება, რათა მათ ქართული ოცნების მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის სასარგებლოდ მოახდინონ ხმების მობილიზება.

ცესკოს წინასწარი მონაცემების მიხედვით, ზურაბიშვილმა ხმების 39 პროცენტი, ხოლო 11 ოპოზიციური პარტიის კოალიციის - “ძალა ერთობაშია”- კანდიდატმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან - გრიგოლ ვაშაძემ - 38 პროცენტი მიიღო. 50-პროცენტის ბარიერი ვერცერთმა კანდიდატმა ვერ გადალახა, შესაბამისად, მეორე ტური ვაშაძესა და ზურაბიშვილს შორის გაიმართება. მეორე ტურისთვის კამპანიის რიტორიკა და დამაბულობა, სავარაუდოდ, მოიმატებს, განსაკუთრებით თუ ორ კანდიდატს შორის არჩევნების შედეგებში მცირე სხვაობას გავითვალისწინებთ.

პოლიტიკური კონტექსტი

საქართველო ამ არჩევნებს მრავალი დემოკრატიული მონაპოვრით შეხვდა. საკანონმდებლო რეგულაციები საერთაშორისო სტანდარტებთან მეტწილად თანხვედრაშია და დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად ხელსაყრელ გარემოს ქმნის. გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების არსებითი თავისუფლებები მეტწილად დაცულია. არჩევნები კონკურენტულ გარემოში წარიმართა და ამომრჩევლებს მრავალფეროვანი პოლიტიკური არჩევანი ჰქონდათ. მოქალაქეები საარჩევნო პროცესს უმეტესწილად ენდობიან.³ მზარდი სამოქალაქო სექტორი, რომელსაც 20 წელზე მეტია ქვეყანაში არჩევნებსა და პოლიტიკურ პროცესებზე მიუკერძოებლად დაკვირვების მდიდარი გამოცდილება აქვს, საქართველოს დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაპოვარია. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს საქართველოს მოქალაქეთა ძლიერი მხარდაჭერა ქვეყნის დემოკრატიული მომავლის მიმართ.

ამ მიღწევების მიუხედავად, ეს არჩევნები დემოკრატიული გამოწვევების ფონზე წარიმართა. სასამართლო დამოუკიდებლობასთან, მოქალაქეთა მიმართ დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებასთან და გადაწყვეტილების მიღების მიმართველის პარტიის თავმჯდომარის ხელში კონცენტრაციასთან დაკავშირებული შეშფოთებები კვლავაც ძალაშია. მოქალაქეები აპათიურები და ქვეყნის განვითარების მიმართულებით უკმაყოფილოები არიან⁴. მმართველობის ყველა დონეზე ერთი პარტიის დომინირების კონსოლიდირება პოლიტიკურ პლურალიზმსა და ეფექტურ ზედამხედველობას ზღუდავს. საქართველოს მსგავსი პრობლემები წინა მთავრობების დროსაც ჰქონდა. შეკავებისა და გაწონასწორების სუსტ მექანიზმებსა და ძალაუფლების გადანაწილების ნაკლებობას ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის გაუქმება ამწვავებს. საქართველოს დემოკრატიაზე ზედამხედველობის მექანიზმებად სამოქალაქო საზოგადოება და მედია რჩება და ისინიც საფრთხის ქვეშაა.

³ NDI-ის 2017 წლის დეკემბერში გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, მოქალაქეთა 42-მა პროცენტმა 2017 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა კარგად ან ძალიან კარგად შეაფასა, 40-მა პროცენტმა ეს საქმიანობა საშუალოდ და მხოლოდ 7-მა პროცენტმა – ცუდად ან ძალიან ცუდად შეაფასა.
https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll_December%202017_ISSUES_GEO_vf.pdf

⁴ NDI-ის 2018 წლის ივნისში გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, მოქალაქეთა 62-მა პროცენტმა თქვა, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით მიდის. <http://caucasusbarometer.org/ge/nj2018ge/POLDIRN4/>

მედია გარემო მრავალფეროვანია, თუმცა პარტიული ნიშნით მაღალი პოლარიზებით ხასიათდება. მედია ბაზარზე დომინირებს რუსთავი 2, რომელიც ოპოზიციის მხარდამჭერად მიიჩნევა, და იმედი, რომელიც ქართული ოცნების მიმართ მეტი სიმპათიის მქონედ აღიქმება. მედიის ზოგიერთი წარმომადგენელი ამტკიცებს, რომ სანამ მაუწყებლები მოგების გარეშე აგრძელებენ მუშაობას, ვალები აქვთ და უჭირთ ბიზნესის მსგავსად ოპერირება, მათ არ აქვთ საშუალება კვალიფიციურ ჟურნალისტიკაში ინვესტიციები ჩადონ და პოლიტიკური ანგაჟირება მათ მთავარ მამოტივირებელ ფაქტორად რჩება. მედია ბაზრის გარემო ახალ და დამოუკიდებელ მედია საშუალებებს ბაზარზე შეღწევის საშუალებას არ აძლევს. ფინანსური გამოწვევების გარდა - განსაკუთრებით რეგიონული მაუწყებლებისთვის, რუსთავი 2 მის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით პოლიტიკური და სამართლებრივი წნეხის ქვეშაა. ეს საქმე ამჟამად სტრასბურგის ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში განიხილება.

წინასაარჩევნო გარემო მთავრობის ლიდერების მიმართ კორუფციისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების კუთხით სერიოზულმა ბრალდებებმა დაჩრდილა. მთელი კამპანიის განმავლობაში ტელეკომპანია რუსთავი 2-მა მრავალი აუდიო და ვიდეო ჩანაწერი გამოაქვეყნა, რომელშიც სხვადასხვა თანამდებობის პირები ძალადობაში, კორუფციასა და სხვა უკანონო ქმედებებში მონაწილეობდნენ ან ამ ქმედებებს აღწერდნენ. ყველაზე უფრო დამაზიანებელმა ჩანაწერმა ხელისუფლების თანამდებობის პირების მიერ მმართველი პარტიის სასარგებლოდ უკანონო დაფინანსების მიღების სავარაუდო მცდელობები და ომეგა ჯგუფზე (ბიზნეს კონგლომერატი) სავარაუდო ზეწოლის ფაქტები გამოაშკარავა. სხვა ჩანაწერებში ამჟამად პატიმრობაში მყოფი პროკურატურის ყოფილი თანამდებობის პირი ქართული ოცნების წინააღმდეგ მაკომპრომეტირებელი მასალის გამოქვეყნებით იმუქრებოდა.⁵ ხელისუფლებამ ამ ჩანაწერების ავთენტურობა უარყო. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჯგუფმა, მათ შორის საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ (საერთაშორისო გამჭვირვალობა), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (სამართლიანი არჩევნები) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) განცხადება გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნა, რომ ომეგას საქმე “მმართველობის სისტემაში არსებულ დემოკრატიის მძიმე კრიზისზე” მიანიშნებს. მთავრობის ლიდერებმა ამ განცხადებას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე თავდასხმებით უპასუხეს.

მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკა თავისთავად დაუშვებელი არ არის და ისინი წარსულში როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პარტიების მხრიდან კრიტიკის ობიექტი იყვნენ, წამყვანი ლიდერების მხრიდან ქვეყნის მოწინავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინააღმდეგ თავდასხმების ინტენსიურობამ და აღქმულმა კოორდინირებულობამ ამ საარჩევნო პერიოდში უპრეცედენტო ხასიათი მიიღო. არასამთავრობო ორგანიზაციებს ბრალი მიკერძოებულობაში, უცოდინარობაში, პროფესიონალიზმის ნაკლებობაში, უკანონო

⁵ “ორი ჩანაწერი უნდა და ქართული ოცნება აღარ იქნება” - მირზა სუბელიანი, ციტატა რუსთავი 2-ის მიერ 2018 წლის 14 ოქტომბერს გაშვებული ჩანაწერიდან <http://rustavi2.ge/ka/news/116068>

ქმედებებში⁶ და “ფაშიზმში” თანამონაწილეობაშიც კი დასდეს. სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მტკიცებით, ეს ბრალდებები კოორდინირებული რიტორიკის ნაწილია, რომლის მიზანი ხელისუფლების ან მომავალი არჩევნების მიმართ ნებისმიერი კრიტიკის უფლებელყოფა ან მისგან ყურადღების გადატანა იყო. ამ განცხადებების გარდა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინააღმდეგ სხვადასხვა სამთავრობო უწყების ხელმძღვანელების მხრიდან მრავალი სხვა თავდასხმა განხორციელდა, მათ შორის: თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის (უწყებათაშორისი კომისია), კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული აგრესია შემდეგ სოციალურ მედიაში პიროვნული თავდასხმებითა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერების მიმართ ძალადობრივი მუქარებით კიდევ უფრო გამწვავდა.

ქართული ოცნების ლიდერებმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მიკერძოებულ კამპანიებში მონაწილეობის მიღების გამო “წითელი ხაზების გადაკვეთაში” დაადანაშაულეს. მათ ასევე მიანიშნეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დუმილზე, როდესაც ქართული ოცნების მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის წინააღმდეგ შეურაცხყოფელი ქმედებები ხორციელდებოდა. თუმცა ხელისუფლების ყველა ლიდერმა, რომელსაც დელეგაცია შეხვდა, მათი კოლეგების მოსაზრება არ გაიზიარა და დემოკრატიულ მმართველობაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

ზეწოლის მიუხედავად, კრიტიკის ობიექტმა ქართულმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა პროფესიონალური და მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული მიდგომა შეინარჩუნეს, რასაც ისინი სხვა მთავრობების დროსაც აკეთებდნენ. ეს ორგანიზაციები გაუმჯობესებებსა და ხარვეზებს პოლიტიკური სპექტრის ყველა მხარეს ავლენდნენ. ასეთი დამოუკიდებელი ადგილობრივი მონიტორინგის ჯგუფების ანგარიშებს არჩევნების შეფასებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. პოლიტიკურად მოტივირებულმა თავდასხმებმა შესაძლოა, მათ სანდოობას ავნოს. ამ ტიპის თავდასხმის შედეგად მიყენებული ზიანი შეიძლება არჩევნების პერიოდს გასცდეს და ყველა მოქალაქესა თუ აქტივისტზე შემაკავებლად იმოქმედოს, რასაც ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასა და ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებზე საზიანო გავლენა შეიძლება ჰქონდეს.

არჩევნების დღის მიგნებები

არჩევნების დღემ ძირითადად მშვიდ გარემოში ჩაიარა. საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები მრავალი საათის მანძილზე გულმოდგინედ მუშაობდნენ, რათა საკუთარი უფლებამოსილება განეხორციელებინათ. ამომრჩევლებმა საკუთარი ნების

⁶ იუსტიციის მინისტრმა საერთაშორისო გამჭვირვალობის დირექტორი მისი შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობის დროს დემონსტრანტების ძალადობრივ დარბევაში დაადანაშაულა.

<https://www.facebook.com/TransparencyInternationalGeorgia/videos/191375408422176/UzpfSTewMDAwMTE0NjA2MjEwNTToxOTIxNzE5Mjg3ODc2MjU1/>

თავისუფლად გამოხატვა შეძლეს. არჩევნებზე დამკვირვებლების, კანდიდატების და მედია ორგანიზაციების მრავალი წარმომადგენელი იყო აკრედიტირებული, რაც პროცესის ზოგად გამჭვირვალობას უწყობდა ხელს.⁷

ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფების შეფასებით და NDI-ის დაკვირვებით, საარჩევნო უბნების უმეტესობა პროცედურების დაცვით დროულად გაიხსნა. ხმის მიცემა ძირითადად მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა, ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების და NDI-ის დამკვირვებლების შეფასებით, საარჩევნო უბნებზე პროცედურული პრობლემების რამდენიმე შემთხვევა და ერთი ძალადობრივი ინციდენტი დაფიქსირდა. უმეტეს შემთხვევაში NDI-ის სადამკვირვებლო ჯგუფმა მონახულელებულ უბნებზე ზოგადი გარემო და საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ წესების დაცვა დადებითად შეაფასა.

საპირისპიროდ, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ არჩევნების დღის ძალიან ნეგატიური სურათი დახატა და აღნიშნა, რომ კენჭისყრის პროცესი სერიოზული დარღვევების ფონზე მიმდინარეობდა. მათ ვებ-გვერდზე 1000-ზე მეტი დარღვევის ფაქტი დაფიქსირდა.

არჩევნების დღეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა რამდენიმე სერიოზული ინციდენტი გამოავლინეს, მათ შორის - ზუგდიდის საუბნო კომისიის წევრის მიერ საარჩევნო ყუთში ბიულეტენების სავარაუდო ჩაყრა. კომისიის ახსნა-განმარტებების საფუძველზე, ცესკომ დაასკვნა, რომ კომისიის წევრი ამავე უბნის ამომრჩეველი იყო და ხმას აძლევდა, შესაბამისად, ყუთში ბიულეტენების ჩაყრას ადგილი არ ჰქონია. ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა კანდიდატის წარმომადგენლების მიერ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობაში ჩარევის რამდენიმე ფაქტი დააფიქსირეს. ცესკომ ბოლნისის ოთხ საარჩევნო უბანზე კანდიდატების წარმომადგენლებს გაფრთხილება მისცა, მათგან ერთი წარმომადგენელი დაუმორჩილებლობის გამო საარჩევნო უბნიდან გააძევეს. ასევე დაფიქსირდა ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის რამდენიმე შემთხვევა.

ერთ-ერთი საკითხი, რაც ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა გამოკვეთეს და ასევე NDI-ის სადამკვირვებლო ჯგუფის მიერ იყო აღნიშნული, საარჩევნო უბნებს გარეთ ქართული ოცნების, ასევე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ევროპული საქართველოს აქტივისტების მასშტაბურ მობილიზებას შეეხება. დამკვირვებლების აღქმით, მობილიზება ამომრჩევლების თავისუფალ არჩევანზე გავლენის მოხდენის მიზნით ხდებოდა. ამომრჩევლების მობილიზება არ არის უკანონო, თუმცა წინასაარჩევნო პროცესში არსებული პრაქტიკა, რაც გულისხმობდა საჯარო მოხელეებისთვის ინსტრუქციის მიცემას, რომ ხმა მიეცათ ზურაბიშვილისთვის და მხარდამჭერების მობილიზაციისთვის საკუთარი ოჯახის წევრების სია წარედგინათ, შემფოთებას იწვევს (იხილეთ თავი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესახებ).

⁷ ცესკოში აკრედიტაცია გაიარა კანდიდატების 82,000-ზე მეტმა წარმომადგენელმა, 22,000-ზე მეტმა მიუკერძოებელმა დამკვირვებელმა 73 ადგილობრივი ორგანიზაციიდან, 1,100-ზე მეტმა საერთაშორისო დამკვირვებელმა 58 ორგანიზაციიდან და 125 მედია საშუალების (94 ადგილობრივი და 31 საერთაშორისო) 2,000-ზე მეტმა ჟურნალისტმა.

ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ გარკვეულ შემთხვევებში მათ წარმომადგენლებს საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში ხელი შეეშალათ. NDI-ის სადამკვირვებლო ჯგუფმა დააფიქსირა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები კანდიდატების წარმომადგენლების რანგში მოქმედებდნენ და ხანდახან საარჩევნო პროცესს წარმართავდნენ.

იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც NDI-ის წარმომადგენლები დათვლის პროცესს დააკვირდნენ, მშვიდი გარემო იყო და საუბნო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები პროცესს უმეტესად პროცედურების დაცვით წარმართავდნენ. კენჭისყრის დღეს შუალამისთვის საარჩევნო კომისიებში 400-ზე მეტი საჩივარი დარეგისტრირდა.

ცესკოს მიერ გამოქვეყნებული წინასწარი შედეგებით, ამომრჩეველთა აქტივობა 46.7 პროცენტს შეადგენს, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში იგივე მაჩვენებელი 46.6 პროცენტი იყო. ზურაბიშვილმა ამომრჩეველთა ხმების 39 პროცენტი მიიღო, ვაშაძემ - 38 პროცენტი, ევროპული საქართველოს კანდიდატმა დავით ბაქრაძემ კი - 11. შედეგად არჩევნების მეორე ტური გაიმართება. ეს შედეგები შესაბამისობაში მოდის, რუსთავი 2-ის დაკვეთით, ედისონ რისერჩის მიერ ჩატარებული ეგზიტპოლების შედეგებთან, რომლის მიხედვითაც არჩევნების დღეს 20:00 საათზე ვაშაძესა და ზურაბიშვილს თანაბარი 40/40 პროცენტული გადანაწილება ჰქონდა. სამართლიანი არჩევნების ხმების პარალელური დათვლის (PVT⁸) შედეგები ცესკოს წინასწარი შედეგების სიზუსტეს ადასტურებს. ეგზიტპოლების გამოცხადების შემდეგ ბაქრაძემ დამარცხება აღიარა და მეორე ტურში ვაშაძეს აღუთქვა მხარდაჭერა.

საარჩევნო კამპანიის გარემო

საარჩევნო კამპანიის გარემო ზოგადად მშვიდი, თუმცა ძალიან ნეგატიური იყო. კანდიდატებს კამპანიის თავისუფლად და უმეტესწილად ხელის შეშლის გარეშე წარმართვის საშუალება ჰქონდათ. ძალადობის მხოლოდ ცალკეული შემთხვევები გამოიკვეთა. თუმცა წინა არჩევნების ინციდენტებს ადეკვატური პასუხი არ მოჰყოლია: მაგალითად, ძალადობრივ თავდასხმებში ბრალდებულ პირებს მხოლოდ მცირე ოდენობის ჯარიმები დააკისრეს, ხოლო 2016 წელს მანქანის აფეთქების საქმე ჯერ კიდევ გამოუძიებელია, რაც ოპოზიციური ლიდერების თქმით დაუსჯელობის კულტურას აღვივებს.

ქართულმა ოცნებამ საკუთარი კანდიდატი არ წარადგინა და მხარი დამოუკიდებელ კანდიდატს ზურაბიშვილს დაუჭირა. ქართული ოცნების ლიდერების განმარტებით, ეს გადაწყვეტილება ნაწილობრივ ძალაუფლების ერთი პარტიის ხელში კონცენტრირების პრობლემის მოგვარებას ისახავდა მიზნად. როგორც მათ აღნიშნეს, მათი არჩევანი დემოკრატიას უწყობს ხელს და შესაბამისობაშია საპარლამენტო სისტემის განვითარებასთან. მიუხედავად იმისა, რომ კამპანიის დასაწყისში ქართული ოცნების

⁸ ხმების პარალელური დათვლა (PVT) არჩევნების სადამკვირვებლო მეთოდოლოგიაა, რომელიც საარჩევნო უბნების წარმომადგენლობით შერჩევას ეყრდნობა და ცდომილების ზღვრის ფარგლებში არჩევნების ჩატარების შეფასების და ამომრჩეველთა აქტივობისა და არჩევნების სავარაუდო შედეგების გაზომვის საშუალებას იძლევა.

წარმომადგენლების თქმით, ისინი არჩევნებში აქტიურ მონაწილეობას არ მიიღებდნენ, როდესაც კამპანია უფრო კონკურენტული გახდა და დისკუსია ყოფილი პრეზიდენტის სააკაშვილის შესაძლო შეწყალებას შეეხო, ქართული ოცნება მაშინვე სრულად ჩაერთო ზურაბიშვილის კამპანიაში. ზურაბიშვილს ქართული ოცნების სრული მხარდაჭერა ჰქონდა, მათ შორის დაფინანსება, პარტიის რეგიონული ოფისები, პარტიული მესიჯები,⁹ და თანამდებობის პირები, რომლებიც მისი სახელით კამპანიას აწარმოებდნენ, რაც მას პარტიის კანდიდატისგან ძალიან მცირედით განასხვავებდა.

ამ რბოლაში ორი მთავარი ოპოზიციური კანდიდატი ვაშაძე და ბაქრაძე იყო. დანარჩენ 16 კვალიფიციურ კანდიდატს შორის ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელი შალვა ნათელაშვილი და თავისუფალი დემოკრატების მიერ წარდგენილი დავით უსუფაშვილი იყვნენ.¹⁰ ახალი კონსტიტუციით კიდევ უფრო შეზღუდული უფლებამოსილებების მიუხედავად, ოპოზიციური პარტიები არჩევნებს მაინც მაღალ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებებს რიგი მოსამართლეების დანიშვნასა და პატიმრების შეწყალებასთან დაკავშირებით; წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო ფორუმებზე და ხალხის მიერ პირდაპირი წესით არჩეული უმაღლესი თანამდებობის პირია, რომელსაც მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების წამოჭრის ხალხისგან მინიჭებული მანდატი და პლატფორმა გააჩნია. გარკვეულწილად, ეს არჩევნები არამხოლოდ საპრეზიდენტო ბრძოლას წარმოადგენდა, არამედ ევროპულ საქართველოსა და ნაციონალურ მოძრაობას შორის შეჯიბრიც იყო, იმის დასადგენად, თუ რომელია ყველაზე სიცოცხლისუნარიანი ოპოზიციური ძალა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ. თუმცა, რბოლა ძირითადად ნაციონალურ მოძრაობასა და ქართულ ოცნებას შორის შეჯიბრად იყო წარმოჩენილი, განსაკუთრებით მედია საშუალებების მიერ.

ზურაბიშვილს, ვაშაძეს და ბაქრაძეს საქართველოს მასშტაბით ყველაზე აქტიური საარჩევნო კამპანიები ჰქონდათ. პრეზიდენტის შეზღუდული ფუნქციებიდან გამომდინარე საკითხებზე დაფუძნებული კამპანიის წარმართვა რთული იყო, რის გამოც ზოგმა კანდიდატმა ყურადღება ღირებულებებზე გაამახვილა. ბაქრაძის საარჩევნო კამპანიაში ნახსენები იყო, თუ რას იზამდა იგი, როგორც საზოგადოების წარმომადგენელი (მაგ. საპენსიო რეფორმისა და ბიუროკრატიული ხარჯების შემცირების ირგვლივ ადვოკატირება) და რას გააკეთებდა იგი, როგორც პრეზიდენტი, როგორცაა ევროპაში სამუშაო კვოტების ლობირება და სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსება. ვაშაძემ ასევე ისაუბრა საპენსიო რეფორმაზე, მაგრამ მეტი ყურადღება ქართული ოცნების დამარცხების მნიშვნელობაზე გაამახვილა. ზურაბიშვილის კამპანია ძირითადად ღირებულებებს ეფუძნებოდა და მის წინაპრებს, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების მიმართ რწმენასა და უარყოფითი პოლიტიკურ კლიმატის შეცვლის სურვილს უსვამდა ხაზს. ქართული ოცნების ლიდერების თქმით, გამარჯვების შემთხვევაში ოპოზიციური კანდიდატები რიგ დაპირებებს შეზღუდული უფლებამოსილებების გამო მაინც ვერ შეასრულებდნენ.

⁹ დარიგდა ბროშურები ქართული ოცნების ლოგოთი და კამპანიის ძირითადი მესიჯებით, რომელიც პარტიის მიღწევებს უსვამდა ხაზს.

¹⁰ არჩევნებში ჯამში 25 კანდიდატი მონაწილეობდა, 19 პოლიტიკური პარტიების მიერ იყო ნომინირებული და 6 – ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების მიერ.

კანდიდატების უმრავლესობამ, სალომე ზურაბიშვილის გარდა, ხელი მოაწერა ცესკოს მიერ შემუშავებულ პრინციპების კოდექსს, რომელიც ხელმომწერებს დისკრიმინაციის და სიძულვილის ენის გამოყენებისგან თავის შეკავებისა და კონსტრუქციულ დებატში ჩართვისკენ მოუწოდებს¹¹. მიუხედავად ამისა, წინასაარჩევნო პერიოდი ნეგატიური კამპანიის ხშირი გამოვლინებით ხასიათდებოდა, მათ შორის ზოგ კანდიდატზე მწვავე თავდასხმით. ზურაბიშვილი და ვაშაძე პრო-რუსულობაში დაადანაშაულეს. ზურაბიშვილის მიმართ ბრალდება 2008 წლის ომის საქართველოს მიერ დაწყების განცხადებამ განაპირობა, ხოლო ვაშაძის დადანაშაულება საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამსახურში მუშაობამ გამოიწვია.¹² ზურაბიშვილის საარჩევნო კამპანიის ღონისძიებებს რამდენჯერმე ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებმა და აგრესიულად განწყობილმა ჯგუფებმა შეუშალეს ხელი. ფიქსირდებოდა ვაშაძის შეხვედრების ხელის შეშლის შემთხვევებიც, თუმცა უფრო იშვიათად.

კანდიდატები და მათი მხარდამჭერები კამპანიის განმავლობაში სოციალურ მედიას აქტიურად იყენებდნენ, მათ შორის ყველა კანდიდატის შესახებ ფეისბუქზე ნეგატიური პოსტების გამოსაქვეყნებლად. ამ პოსტების უმეტესობა ზურაბიშვილის წინააღმდეგ იყო მიმართული. მაგალითად, რუსთავი 2-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ ხალხს „მოლაღატესა“ და მის მხარდამჭერებზე ზეწოლის განხორციელებისკენ, მათ დასჯასა და საზოგადოების ცხოვრებიდან გარიყვისკენ მოუწოდა.¹³ ქართული ოცნების ბევრმა ლიდერმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები გვარამიას პოსტის გაუკრიტიკებლობისთვის დაგმო. პარლამენტის თავმჯდომარემ მათ ფაშიზმის თანამონაწილეები უწოდა. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი პოსტები სიტყვის თავისუფლების ჩარჩოში ჯდება, ისინი კამპანიის პერიოდში მტრული რიტორიკის მაგალითია.

მოწყვლად ჯგუფებთან კომუნიკაცია იშვიათად ხდებოდა. კამპანიისას საპრეზიდენტო კანდიდატები უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებს ესტუმრნენ და ზოგმა

¹¹ კოდექსის ხელმოწერით, კანდიდატები შეთანხმდნენ: კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვაზე; ეთნიკური, რელიგიური, გენდერისა თუ სხვა ფაქტორების მიხედვით დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე; სიძულვილის, ქსენოფობიური ან მუქარის შემცველი კომუნიკაციის არგამოყენებაზე; და ძალადობისგან თავის შეკავებაზე. ისინი ასევე შეთანხმდნენ, რომ სხვა კანდიდატების კამპანიებში არ ჩაეროდნენ; სხვა კანდიდატების შესახებ ყალბ ინფორმაციას არ გაავრცელებდნენ; ადმინისტრაციულ რესურსს ბოროტად არ გამოიყენებდნენ ან ამომრჩევლის მოსყიდვაში არ ჩაერთვებოდნენ; ინკლუზიურ კამპანიებს აწარმოებდნენ; და პროგრამებზე ორიენტირებულ არსებით დებატებში ჩაერთვებოდნენ. სამმა კანდიდატმა, მათ შორის სალომე ზურაბიშვილმა, ამ კოდექსს ხელი არ მოაწერა.

¹² ფოტოშოპით დამუშავებული პოსტერები ვაშაძეს რუსეთის პრეზიდენტ პუტინის პაიკად წარმოაჩენდა. ასევე გაიკრა ზურაბიშვილის სურათები სათაურით “მოლაღატე სალომე”.

¹³ „ყველა, ვინც სალომე ზურაბიშვილს ან აფინანსებს, ან კამპანიაში სხვაგვარად ეხმარება, ყველა პოლიტიკოსი, რომელიც დაყვება და მხარს უჭერს, უკიდურესად უნდა შევაჯიროვოთ. ეს არ არის არც გამოხატვის თავისუფლების და არც პოლიტიკური გემოვნების საკითხი. ეს არის ქვეყნის ღია და დეკლარირებული მოლაღატის დახმარება. დახმარება ქვეყნის ღალატში. ყველა ეს ადამიანი უნდა დავიმასხვოროთ და გვახსოვდეს მოლაღატის გვერდში დამდგომი ხალხი, და მათგან ყველაფერს უნდა ელოდოს ჩვენი სამშობლო. უნდა დავიმასხვოროთ და გავაძევოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან, იქნება ეს ბიზნესი, კულტურა თუ პოლიტიკა. ქვეყნის მოლაღატე და მისი მოკავშირეები საჩვენებლად უნდა დაისაჯონ! მე პირადად ვაპირებ ამას მივუძღვნა საკუთარი თავი უახლოესი რამდენიმე წელი. ჯერ არჩევნების წაგებაში ძალიან დავეხმარები მოლაღატე სალომეს (აუცილებლად წააგებს) და მერე მივუბრუნდები მის დამხმარებს.“ <https://www.facebook.com/nika.gvaramia.129/posts/1095557487279243>

უმცირესობის ენაზე დაწერილი მასალა დაარია.¹⁴ ძლიერი კლანური კავშირებიდან გამომდინარე, კომუნიკაციის ძირითადი ძალისხმევა თემის ლიდერებზე იყო მიმართული. ზოგადად, კანდიდატები კამპანიის ფარგლებში ქალებზე აქცენტს არ აკეთებდნენ. მხოლოდ ორი კანდიდატი, ბაქრაძე და უსუფაშვილი დაესწრნენ საჯარო დებატს გენდერულ საკითხზე, რომელიც თბილისში ქალთა მოძრაობამ და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფმა გამართა. შეხვედრას არც ზურაბიშვილი დაესწრო და არც ვაშაძე. გენდერზე დაფუძნებული უარყოფითი საარჩევნო კამპანია არც მისიისთვის გაზიარებული თავდასხმების მაგალითებში და არც დამოუკიდებელი მედია მონიტორინგის ანგარიშებში არ აღინიშნება.¹⁵ თუმცა, ზურაბიშვილის კამპანიის თანახმად, ამ არჩევნებში გამოთქმული აგრესიული და შეურაცხმყოფელი რიტორიკა პოლიტიკაში ქალების წასვლაზე შემაკავებლად იმოქმედებს.

მიუხედავად იმისა, რომ რასიზმი და სიძულვილის ენა ამ არჩევნებს - საბედნიეროდ - არ ახასიათებდა, იყო მსგავსი მოსაზრებების გამოთქმის იზოლირებული ინციდენტები, უმეტესად პარტია თავისუფალი საქართველოს კანდიდატის - კახა კუკავას მხრიდან.¹⁶ 13-მა წამყვანმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ გამოაქვეყნა განცხადება და „ქსენოფობიური და რასისტული“ უწოდა ზურაბიშვილის იმ გამოსვლას, რომლის დროსაც მან ნაციონალური მოძრაობის მთავრობა საქართველოში ბინადარი თურქებისთვის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭებისა და სომხური უმცირესობისთვის ორმაგ მოქალაქეობაზე უარის თქმისთვის გააკრიტიკა.¹⁷ ქართული ოცნების ლიდერებმა კრიტიკა უსაფუძვლოდ მიიჩნიეს და აღნიშნეს, რომ ზურაბიშვილი მხოლოდ და მხოლოდ სომხურ უმცირესობას იცავდა და არასამთავრობო ორგანიზაციების ეს განცხადება დაგმეს. დამატებით, კამპანიის დროს ზურაბიშვილის მიერ რამდენიმე წლის წინ გამოაქვეყნებული ფეისბუქ პოსტიც გაიხსენეს, სადაც იგი ჩინელებს აკნინებდა,¹⁸ თუმცა ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ ამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა.

მედია გარემო

მედია საშუალებების უმრავლესობა კამპანიას ვრცლად აშუქებდა და მაყურებლებს კანდიდატების შედარებისა და მათ შორის განსხვავებების დანახვის შესაძლებლობა ჰქონდათ. მაუწყებლები, ზოგადად, ცდილობდნენ, ახალი ამბების პროგრამაში ყველაზე აქტიური კანდიდატები გაეშუქებინათ, თუმცა კონკრეტულ კანდიდატებთან მათი სიახლოვის აღქმის გამო - როგორც რუსთავი 2-ს, ასევე იმედს - თოქ-შოუებსა და დებატებში ძირითადი კანდიდატების მონაწილეობის უზრუნველყოფა გაუჭირდა. რეგიონულმა მაუწყებლებმა აღნიშნეს, რომ რიგმა კანდიდატებმა, განსაკუთრებით ზურაბიშვილის კამპანიის წარმომადგენლებმა, მათ წვდომა არ მისცეს. სამი მთავარი

¹⁴ საქართველოში აზერბაიჯანელი და სომეხი უმცირესობები ძირითადად ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში არიან დასახლებულნი.

¹⁵ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წარმოებულმა მედია მონიტორინგმა, რომელიც გაეროს განვითარების ფონდისა და ევროკავშირის მიერ არის დაფინანსებული, გამოავლინა, რომ გენდერის კუთხით ნეგატიური კამპანია არ იყო ფართოდ გავრცელებული.

¹⁶ http://mdfgeorgia.ge/uploads/library/101/file/sidzulvilis_ena_2018.pdf

¹⁷ <https://gdi.ge/en/news/ngos-on-salome-zurabishvilis-xenophobic-statement.page>

¹⁸ სალომე ზურაბიშვილის ფეისბუქ გვერდი, 2013 წლის იანვარი: "ჩინელები არ კვდებიან. ერთი პირადობის მოწმობით ან პასპორტით სარგებლობს რამდენიმე ადამიანი სანათესავოდან და ვინ გაარჩევს? როცა გგონია რომ ათი შემოვიდა სინამდვილეში 100 მდე შეიძლება იყვნენ".

კანდიდატის - ზურაბიშვილი, ვაშაძე და ბაქრაძე - მონაწილეობით დებატების ჩატარება მხოლოდ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შეძლო.

სამი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული მედია მონიტორინგის თანახმად,¹⁹ რუსთავი 2-ის, იმედისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საეთერო დროის ყველაზე დიდი ნაწილი ზურაბიშვილს, შემდგომ ვაშაძეს და მესამე ადგილზე ბაქრაძეს დაეთმო. ასევე შუქდებოდა მთავრობისა და ქართული ოცნების აქტივობები. საზოგადოებრივი მაუწყებელი სამივე კანდიდატს მეტ-ნაკლებად ნეიტრალურად აშუქებდა, რუსთავი 2-ის მიერ ზურაბიშვილის, ხოლო იმედის მიერ ვაშაძის გაშუქება უფრო ნეგატიური იყო.

არჩევნების პერიოდში მედია რეგულაციები თანაბარი და კონკურენტული გარემოს წახალისებას ემსახურება, თუმცა მაუწყებლებისათვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სარეგულაციო ტვირთს წარმოადგენს. საარჩევნო კოდექსის თანახმად, მაუწყებლებმა კანდიდატებს უფასო საეთერო დრო უნდა დაუთმონ, რაც მათ რეკლამებიდან მიღებულ შემოსავალს ართმევს. უფასო სარეკლამო დროით მოსარგებლე კვალიფიციური სუბიექტების დიდი რაოდენობა²⁰ მაუწყებლებისთვის გამოწვევას წარმოადგენდა. ქართული ოცნება ასევე საუბრობდა პარტიების დაფინანსების სისტემაში არსებულ ხარვეზზე, რომელიც საშუალებას აძლევს პარტიებს, გამოიყენონ ე.წ. „ტექნიკური კანდიდატები“ - კანდიდატები, რომლებსაც მოკავშირე პარტიები უფასო სატელევიზიო დროის მიღების მიზნით წარადგენენ. ამ დროის გამოყენება შემდგომში ოპონენტების საწინააღმდეგო გზავნილების გასავრცელებლად შეესაძლებელი.²¹ ქართულმა ოცნებამ ვაშაძის კამპანიის მხრიდან ამ ხარვეზის გამოყენებაზე ისაუბრა. თუმცა ე.წ. „ტექნიკური კანდიდატებით“ ზურაბიშვილმა და სხვა კანდიდატებმაც ისარგებლეს. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში, ამ რეკლამებმა - სავარაუდოდ - კამპანიის დაფინანსების წესები დაარღვია.²²

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, რომელიც მაუწყებლებს არეგულირებს, ამ არჩევნებზე რამდენიმე საკამათო პოზიცია დააფიქსირა. უწყებამ გამოსცა წერილი, სადაც ის ზურაბიშვილის საწინააღმდეგო სამი რეკლამის - მათ შორის იმ კლიპის, რომელიც მხოლოდ ამ კანდიდატის მიერ გაკეთებულ განცხადებებს მოიცავდა - ეთერიდან მოხსნას ითხოვდა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა პოლიტიკური რეკლამების შინაარსის მონიტორინგთან მიმართებაში კომისიის როლი ეჭვქვეშ დააყენეს და აღნიშნეს, რომ, ნეგატიური შინაარსის მიუხედავად, ვიდეორგოლები სიტყვის თავისუფლების ფარგლებში ჯდებოდა.²³ ასევე, კომისიამ რუსთავი 2-ს ევროპული საქართველოს ფასიანი

¹⁹ მედია მონიტორინგი გაეროს განვითარების ფონდის მხარდაჭერითა და ევროკავშირის დაფინანსებით ჩატარდა.

²⁰ ამ არჩევნებში - წინა არჩევნების შედეგების მიხედვით - 16 კვალიფიციური პარტიის კანდიდატები მონაწილეობდნენ.

²¹ ტექნიკურ კანდიდატებს არ შეუძლიათ სხვა კანდიდატის მხარდაჭერა, რადგან ეს მათ არაკანონიერ შემოწირულობად ჩაეთვლება.

²² “რვა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის რეკლამები კანონდარღვევის ნიშნებს შეიცავს,” საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 12 ოქტომბერი, 2018

<https://www.transparency.ge/ge/post/rva-kvalipiciuri-saarchevno-subiektis-reklamebi-kanondargvevis-nishnebs-sheicavs>

²³ წინასაარჩევნო მონიტორინგის მეორე შუალედური ანგარიში - 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, სამართლიანი არჩევნები, 8 ოქტომბერი, 2018 <http://www.isfed.ge/main/1421/geo/>

რეკლამის განთავსებისთვის ჯარიმა დააკისრა, რაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა საარჩევნო კოდექსის არასწორ ინტერპრეტაციად შეაფასეს.²⁴ კომისიამ ასევე სადავო წერილი გამოსცა, სადაც მან მაუწყებლებს მათ მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევებთან დაკავშირებით მოთხოვნები დაუწესა - მათ შორის სხვა კვლევებისგან განსხვავებული შედეგების „დასაბუთების“ ვალდებულება. ამ მოთხოვნის შესრულება დამამძიმებელი და მეცნიერულად შეუძლებელი იქნება. რეგიონულმა მედია საშუალებებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევების გაშუქების გამო მათ წარსულში სასამართლოში უჩივლეს. შედეგად, სანქციების თავიდან აცილების მიზნით, მათ კვლევების გაშუქებისგან თავის შეკავება გადაწყვიტეს.

სხვადასხვა მედია საშუალებებისკენ - მათ შორის რუსთავი 2 და გარკვეულწილად ტვ პირველი - მიმართული წნეხი და მტრული რიტორიკა კამპანიის ბოლო კვირებში გაიზარდა. ქართული ოცნების თავმჯდომარემ ინტერვიუში რუსთავი 2 ქვეყნის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენებასა და დეზინფორმაციის გავრცელებაში არაერთხელ დაადანაშაულა. მან ამ პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული ცვლილებები დაანონსა. ასევე, რუსთავი 2-მა მათი საქმიანობისთვის ხელისშემშლელ რამდენიმე კიბერშეტევაზე ისაუბრა. ამის გარდა, 2018 წლის 16 ოქტომბერს ტელევიზია იბერია TV-მ, რომელსაც ომეგა ჯგუფი ფლობს, სავარაუდოდ, კომპანიის ფინანსური ვალის გამო მაუწყებლობა შეწყვიტა. იბერიის - რომელიც მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილ არხად აღიქმება - წინააღმდეგ სავარაუდო ზეწოლა, დათმოს საკუთრების უფლება, ზემოთ აღნიშნულ ჩანაწერებში ფიგურირებდა.

საარჩევნო ადმინისტრაცია

საერთო ჯამში, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ²⁵ არჩევნების მზადების პროცესი საარჩევნო კოდექსისა და გრაფიკის შესაბამისად წარმართა. ამასთანავე, კომისიამ წარსულში გამოთქმული კრიტიკისა და რეკომენდაციების საპასუხოდ რამდენიმე დადებითი ნაბიჯი გადადგა, როგორცაა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის უფრო მკაფიო წესების განსაზღვრა²⁶ და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში სოციალური მედიის საკითხის გათვალისწინება. ცესკოს თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიების შერჩეული წევრებისგან 84 პროცენტს ბოლო ხუთი არჩევნების განმავლობაში სულ მცირე ერთ არჩევნებში მუშაობის გამოცდილება აქვს.²⁷ ცესკომ ასევე ჩაატარა მრავალი ტრენინგი, გამართა რეგულარული ღია შეხვედრები და, გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით,

²⁴ წინასაარჩევნო მონიტორინგის პირველი შუალედური ანგარიში - 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, სამართლიანი არჩევნები, 13 სექტემბერი, 2018 <http://www.isfed.ge/main/1409/geo/>

²⁵ საარჩევნო კომისიის სამდონიანი სტრუქტურა აქვს: ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), 73 საოლქო საარჩევნო კომისია და 3,705 საუბნო საარჩევნო კომისია, რომელიც საქართველოში 3,637 ჩვეულებრივ საუბნო საარჩევნო კომისიას, 11 გამონაკლის შემთხვევებში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიასა და საქართველოს საზღვრებს გარეთ შექმნილ 57 საუბნო საარჩევნო კომისიას მოიცავს.

²⁶ „ცესკოს რეკომენდაციები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შერჩევის პროცესთან დაკავშირებით“, 2018 წლის 3 სექტემბერი, <http://cesko.ge/geo/list/show/114503-tseskos-rekomendatsiebi-saubno-saarchevno-komisiis-tsevrta-archevis-protsestan-dakavshirebit>

²⁷ „ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები 2018 წლის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევისა და დანიშვნის შესახებ“, 26 სექტემბერი, 2018 <http://cesko.ge/geo/list/show/114988-informatsia-da-statistikuri-monatsemebi-2018-tslis-saubno-saarchevno-komisiis-tsevrta-archevisa-da-danishvnis-shesakheb>

გადაწყვეტილებები და საჩივრები ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა. თუკი ადრე პარტიები საარჩევნო კომისიებში თანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი, ბოლო საკანონმდებლო ცვლილებების²⁸ მიხედვით, ძალთა ბალანსი საგრძნობლად შეიცვალა. შედეგად, პარტიების მიერ დანიშნული ექვსი წევრიდან სამს ქართული ოცნება, ხოლო თითო-თითოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ევროპული საქართველო და პატრიოტთა ალიანსი ნიშნავენ.

მიუხედავად ამ ნაბიჯებისა, საუბნო საარჩევნო კომისიების შერჩევისას ქართული ოცნებისთვის უპირატესობის მინიჭებისა და მჭიდრო ვადების გამო წუხილები კვლავ გამოითქვა. საია-მ საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების შერჩევისას პრობლემები დააფიქსირა, რომელიც, ძირითადად, ნეპოტიზმსა და პარტია ქართულ ოცნებასთან კავშირების არსებობას ეხება. საპასუხოდ, ცესკოს თავმჯდომარემ საია არაპროფესიონალიზმში საჯაროდ დაადანაშაულა. ამას გარდა, ოპოზიციურმა პარტიებმა გამოთქვეს ბრალდებები, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების რიგითი წევრების და ხელმძღვანელობის არჩევისას წინასწარ შედგენილი სიები იყო გამოყენებული, რომელშიც ქართულ ოცნებასთან დაკავშირებული კანდიდატები ფიგურირებდნენ.

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება და კამპანიის დაფინანსება

ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებისა და საჯარო მოხელეებზე ზეწოლის ბრალდებები საქართველოში გამართულ არჩევნებში დიდი ხანია პრობლემას წარმოადგენს და ამ არჩევნებსაც ახასიათებდა. რეკომენდაციების საპასუხოდ, საარჩევნო კამპანიის დაწყებისას პრემიერ მინისტრმა წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც საჯარო მოხელეების ქცევის მიმართ მოლოდინები განსაზღვრა. მიუხედავად ამისა, ზედამხედველობის, აღსრულებისა და სანქციების მექანიზმები არასაკმარისია. ქვეყნის მასშტაბით საჯარო მოხელეები ზურაბიშვილის მხარდასაჭერად და მისი საარჩევნო კამპანიის ღონისძიებებზე დასასწრებად იყვნენ მობილიზებულნი. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ანგარიშების თანახმად, საჯარო მოხელეებს ზურაბიშვილის მხარდამჭერების სიების შედგენა და მათი ოჯახის წევრების პირადი მონაცემებისა და საარჩევნო უბნებში განაწილების შესახებ ინფორმაციის შეგროვება დაევალა.²⁹ NDI-ის სადამკვირვებლო მისიამ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონიდან მსგავსი სიის ასლი თავად იხილა, ხოლო თელავში ორგანიზებული შეხვედრების აღწერა პირველადი წყაროსგან მოისმინა. ოპოზიციურმა პარტიებმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ასევე განაცხადეს, რომ ხშირ შემთხვევაში საჯარო მოხელეებს ზურაბიშვილის მხარდაჭერის მითითება არც მიუღიათ, რადგან მათ ისედაც იცოდნენ „რა მოეთხოვებოდათ“ და სამსახურის დაკარგვის ემინოდნენ.

²⁸ საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, საარჩევნო კომისიის თითოეული დონე 13-ის მაგიერ 12 წევრისგან შედგება, რომელთაგან 6 პარლამენტის ან უფრო მაღალი დონის საარჩევნო კომისიის მიერ, ხოლო 6 პოლიტიკური პარტიების მიერ ინიშნება. ამასთანავე, ცვლილებების შედეგად, პარტიული მანდატები წინა არჩევნებში მიღებული ხმების პროპორციულად დგინდება, ხოლო უწინ ყოველ კვალიფიციურ პარტიას წარმომადგენელი ჰყავდა.

²⁹ „მუნიციპალიტეტების ა(ა)იპ-ების თანამშრომლებს შესაძლოა სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერების მობილიზებას ავალდებუნენ“, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების, საიასა და საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს განცხადება, 11 ოქტომბერი, 2018 <http://www.isfed.ge/main/1423/geo/>

კანდიდატებს საარჩევნო დაფინანსებისა და ხარჯების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგულარული ანგარიშების წარდგენა ევალებათ, რის შემდეგაც სახელმწიფო აუდიტის სამსახური მათ კანონთან შესაბამისობას აფასებს. აუდიტის სამსახურის თქმით, უწყებას მიღებულ ანგარიშებში საარჩევნო კამპანიის ხარჯების ადეკვატური მონიტორინგისთვის სათანადო რესურსის, საგამომიებო უფლებამოსილებისა და საჭირო დროის ნაკლებობა აქვს.

ფინანსურ რესურსთან წვდომის კუთხით კანდიდატები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ. ზურაბიშვილის კანდიდატურის მხარდაჭერის გაცხადების შემდგომ, ქართულმა ოცნებამ საკუთარ შემომწირველებს მისი კამპანიის მხარდაჭერისკენ მოუწოდა, რამაც ის უპირატეს პოზიციაში ჩააყენა. კანდიდატთაგან ბანკიდან სესხის აღება მხოლოდ ზურაბიშვილის კამპანიამ მოახერხა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა კანდიდატებმა სესხის ასაღებად სხვადასხვა კომერციულ ბანკს მიმართეს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტატისტიკა აჩვენებს, რომ 2012 წლის არჩევნების შემდგომ, საბანკო კრედიტების აღებას მხოლოდ მმართველ კოალიციაში შემავალი პარტიები ახერხებენ, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციურ პარტიებს სესხის უზრუნველყოფისა და საარჩევნო კამპანიის ხარჯების სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურებისთვის აუცილებელი მხარდაჭერის დემონსტრირება შეუძლიათ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანახმად, 27 ოქტომბრის მდგომარეობით ზურაბიშვილის კამპანიამ 5.1 მილიონის ლარის (1.9 მილიონი დოლარი) ოდენობის შემოწირულობა მიიღო, მაშინ, როდესაც ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ - 640, 000 ლარი (235, 000 დოლარი), ხოლო ბაქრაძის კამპანიამ - 600, 000 ლარი (220, 000 დოლარი) მიიღო. ოპოზიციური პარტიების თქმით, შემომწირველები მათთვის თანხის შეწირვისგან ზეწოლის და მმართველი პარტიის მხარდაჭერით მიღებული სარგებლის გამო იკავებდნენ თავს, თუმცა ამის მტკიცებულების მოპოვება რთული იყო.

ქართული ოცნების მიერ ზურაბიშვილის საარჩევნო კამპანიის მხარდასაჭერად გამოყენებული მიდგომა წინააღმდეგობრივი გამოდგა. პარტიას მისთვის თანხების შეწირვა ეკრძალება. ქვეყნის მასშტაბით ქართული ოცნების პარტიის აქტივისტებით დაკომპლექტებული ადგილობრივი ოფისები ზურაბიშვილის კამპანიას ემსახურებოდნენ, ხოლო მისი საარჩევნო კამპანიის ბანერები ოფისის შენობებზე ეკიდა. ქართული ოცნების განმარტებით, საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ოფისების ქირას ზურაბიშვილის კამპანია გადაიხდიდა, ხოლო ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა ცენტრალურ დონეზე მოხდა, რაც გასაგებს ხდის, თუ რატომ არ იცოდნენ ამ შეთანხმების შესახებ ქართული ოცნების რეგიონული ოფისების ხელმძღვანელებმა და რატომ განუცხადეს მათ სადამკვირვებლო მისიას, რომ ზურაბიშვილის კამპანიას ოფისები ქართულმა ოცნებამ დაუთმო.

საჩივრები და განცხადებები

საჩივრების განხილვის მექანიზმები კომპლექსურია და ბევრ პასუხისმგებელ უწყებასა და განსხვავებულ ვადებს მოიცავს, რაც საჩივრებით მიმართვის შესაბამისი ფორუმის შერჩევისას გაურკვევლობას იწვევს. წინასაარჩევნო საჩივრების დაახლოებით ნახევარი

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა შეიტანეს. მათი უმრავლესობა ისეთ საპროცედურო საკითხებს შეეხებოდა, როგორცაა, მაგალითად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ სხდომის გაცდენა.³⁰ ვაშაძის კამპანიის წარმომადგენლებმა ეს წინა არჩევნების დროს დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ გამოთქმული კომენტარებით ახსნეს: პარტიები ხშირად ჩიოდნენ დარღვევებზე, მაგრამ ოფიციალური საჩივარი არ შეჰქონდათ. სწორედ ამიტომ, მათი წარმომადგენლები გაფრთხილებულები იყვნენ, რომ ყველა დარღვევაზე საჩივარი დაეწერათ. სხვა საჩივრები ეხებოდა ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენებას, კამპანიის რეგულაციებისა და საარჩევნო პროცედურების დარღვევას.

„ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ“ მემორანდუმი, რომელსაც ცესკომ, უწყებათაშორისმა კომისიამ, 15-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ და 6-მა პოლიტიკურმა პარტიამ მოაწერა ხელი, სოციალურ მედიასთან დაკავშირებულ რეგულაციებს პირველად მოიცავდა.³¹ საჯარო მოხელეების მხრიდან სოციალური მედიის გამოყენების შესახებ აღძრული 26 საჩივრიდან მხოლოდ სამი დაკმაყოფილდა, ოცი - არ დაკმაყოფილდა და სამი საჩივარი არჩევნების დღისთვის კვლავ განხილვის პროცესში იყო.³² არასამთავრობო ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ საარჩევნო კომისია - ნაცვლად იმისა, რომ გასაჩივრებული შემთხვევები გულმოდგინედ გამოეძია - სავარაუდო დამრღვევებისგან განმარტებებს სჯერდებოდა (მაგალითად, იმას, სოციალური მედიის გამოყენება შესვენების დროს მოხდა; რომ ეს არ იყო მათი მოწყობილობა; ან, რომ მათ პირად სოციალურ მედიას მათი ოჯახის წევრები იყენებდნენ). მსგავს შემთხვევებში კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელი არ არის.

პოლიტიკურმა პარტიებმა, კანდიდატებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა უწყებათაშორის კომისიაში - რომლის თავმჯდომარეც იუსტიციის მინისტრია და რომელსაც საჯარო მოხელეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების პრევენცია და რეაგირება ევალება - 28 განცხადება და საჩივარი შეიტანეს. მონაწილეების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, არსებობდეს ინკლუზიური პლატფორმა, სადაც საჩივრების განხილვა და, ამავე დროს სხვადასხვა სამთავრობო ინსტიტუტთან მიმართვა იქნება შესაძლებელი. თუმცა, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სამუშაო პროცედურების ნაკლები სიციხადე კომისიის ეფექტურობას აფერხებს. პირველად ამ არჩევნებში სამმა წამყვანმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ - სამართლიანი არჩევნები, საია და საერთაშორისო გამჭვირვალობა³³ - და ორმა წამყვანმა

³⁰ 2018 წლის 27 ოქტომბრის მონაცემებით.

³¹ მემორანდუმი, რომელიც 14 სექტემბერს გაფორმდა, შეეხება საბიუჯეტო თანხით დაფინანსებული ვებ-გვერდებისა და სოციალური მედიის გვერდების გამოყენებას, ისევე, როგორც პირადი სოციალური გვერდების გამოყენებას საბიუჯეტო სახსრებით ნაყიდი ინტერნეტით ან მოწყობილობებით.

³² 2018 წლის 27 ოქტომბრის მონაცემებით.

³³ „ევროპული სააქართველო უწყებათაშორისი საარჩევნო კომისიის მუშაობაში მონაწილეობას აღარ მიიღებს,” 20 სექტემბერი, 2018

<https://on.ge/story/27899-ევროპული-სააქართველო-უწყებათაშორისი-საარჩევნო-კომისიის-მუშაობაში-მონაწილეობას-აღარ-მიიღებს>; „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” უწყებათაშორის კომისიას პროტესტის ნიშნად ტოვებს, 9 ოქტომბერი, 2018

<https://www.transparency.ge/ge/post/saertashoriso-gamchvirvaloba-sakartvelo-ucqebatashoris-komisiას-protestis-nishnad-tovebs>

ოპოზიციურმა პარტიამ - ევროპული საქართველო და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ფორუმი დატოვა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა კომისიის თავმჯდომარის მხრიდან მტრულ რიტორიკასა და კონსტრუქციული დიალოგისთვის და საკითხის გადაჭრისთვის არახელსაყრელ გარემოზე მიანიშნეს. შედეგად, უწყებათაშორისმა კომისიამ სადავო საკითხების განხილვისა და საარჩევნო პროცესებში ნდობის გაძლიერების პლურალისტური ფორუმის ფუნქციის სათანადოდ შესრულება ვერ შეძლო.

წინა არჩევნებთან შედარებით ძალადობის შემთხვევები შემცირებულია, რაც პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს. თუმცა ოპოზიციის ლიდერებმა აღნიშნეს, რომ წინა ინციდენტების არაადეკვატურად გადაწყვეტა დაუსჯელობის გრძნობასა და შიშის გარემოს ქმნის. შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შსს) წინასაარჩევნო პერიოდში არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის მხოლოდ ოთხი შემთხვევა დააფიქსირა. ყველა შემთხვევაზე გამოძიება დაიწყო, თუმცა ჯერ არცერთი მათგანი გადაწყვეტილია.

რეკომენდაციები

საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთებითა და წინასაარჩევნო და არჩევნების დღის დაკვირვებების საფუძველზე, NDI-ის დელეგაცია შემდეგ რეკომენდაციებს გამოსცემს. NDI აღნიშნავს, რომ წინა ანგარიშებში გაცემული ზოგიერთი რეკომენდაცია შესრულდა - მათ შორის, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებით პრემიერ მინისტრმა წერილი გამოსცა და ცესკომ საარჩევნო მოხელეების შერჩევის კრიტერიუმები დააზუსტა. თუმცა, დელეგაცია აღნიშნავს, რომ წინა წლებში გაცემული ბევრი რეკომენდაცია ჯერ სათანადოდ არაა შესრულებული და იმედს გამოთქვამს, რომ შემდგომი არჩევნების გაუმჯობესებისთვის მათი გათვალისწინება მოხდება.

დელეგაციას მიაჩნია, რომ რეკომენდირებულმა საკანონმდებლო და ტექნიკურმა შესწორებებმა საარჩევნო პროცესებში წამოჭრილი ზოგიერთი პრობლემა შეიძლება მოაგვაროს, თუმცა საქართველოს არჩევნებისთვის ყველაზე სერიოზული დაბრკოლებები კანონით და პროცედურებით ვერ გადაილახება. როგორც აღინიშნა, რესურსების საკითხის მოგვარება - განსაკუთრებით ადმინისტრაციული რესურსის სავარაუდო გამოყენება და ამომრჩევლების, შემომწირველებისა და კანდიდატების დაშინება - პოლიტიკურ ნებას საჭიროებს. ეს საკითხები წინა ხელისუფლებების დროსაც პრობლემური იყო და მოქმედების გარეშე შემდეგ არჩევნებზეც პრობლემურად დარჩება. ამ მოჯადოებული წრის გარღვევას არჩევნების მიმართ საზოგადოების ნდობაზე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება. ამას გარდა, მწარე და აგრესიული მიკერძოებული რიტორიკა, საარჩევნო ინსტიტუტების - როგორცაა უწყებათაშორისი კომისია - მიმართ დაბალი ნდობა და არასამთავრობო ორგანიზაციების მისამართით გაჟღერებული მუქარა ასევე ცდება საკითხის ტექნიკურად გადაწყვეტის ფარგლებს და საჭიროებს პოლიტიკურ ნებას ყველასგან - მათ შორის: მთავრობა, პარტიები, ინსტიტუტები, მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები და საზოგადოება. ამ პრობლემების გადაჭრა საქართველოში დემოკრატიის გაძლიერების მნიშვნელოვან შესაძლებლობას წარმოადგენს.

მეორე ტურის წინ შესასრულებლად NDI შემდეგ რეკომენდაციებს გასცემს:

- მთავრობის ლიდერებმა და სახელმწიფო თანამდებობის პირებმა არასამთავრობო ორგანიზაციებზე თავდასხმა უნდა შეწყვიტონ და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ხელშემწყობ გარემოს უნდა დაუჭირონ მხარი;
- საერთაშორისო საზოგადოებამ არასამთავრო ორგანიზაციებზე თავდასხმა ძლიერად და საჯაროდ უნდა დაგმოს, მათი მხარდაჭერა გამოხატოს და ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის მათ როლს გაუსვას ხაზი. მნიშვნელოვანია მეორე ტურისთვის სადამკვირვებლო ორგანიზაციების დაფინანსება;
- მეორე ტურისთვის საჯარო მოხელეების ქცევის რეგულირებისთვის მთავრობამ კიდევ ერთი დირექტივა უნდა გამოსცეს და ამ დირექტივას მისი უზრუნველყოფისთვის მკაცრი სანქციები და ზედამხედველობის მექანიზმები დაამატოს;
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ მეორე ტურამდე ძალადობის თავიდან ასაცილებლად დაკვირვება უნდა განაგრძოს;
- პარტიებმა ხელი უნდა მოაწერონ ქცევის კოდექსს, რომლის თანახმად ისინი დაშინების და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ყველა ფორმისგან თავს შეიკავებენ, ხოლო დამრღვევებს შიდა სანქციებს დააკისრებენ;
- კამპანიებმა და მედიამ დარჩენილ პერიოდში მუქარის რიტორიკისგან და პირადი შეტევებისგან თავი უნდა შეიკავონ და ამის ნაცვლად კანდიდატების პლატფორმასა და ხედვაზე გაამახვილონ ყურადღება;
- მედია მაუწყებლებმა ორ კანდიდატს შორის დამატებითი დებატები უნდა გამართონ. კანდიდატებმა დებატებში მონაწილეობა უნდა მიიღონ და ამომრჩევლებს თავიანთი ხედვა მკაფიოდ გააცნონ.

მნიშვნელოვანია შემდეგი გრძელვადიანი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- პარლამენტმა კანონმდებლობასა ან სამუშაო პროცედურებში ცვლილებების შემუშავებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საარჩევნო ადმინისტრაციასთან და პოლიტიკურ პარტიებთან საკონსულტაციო პროცესი უნდა გამართოს, სადაც განხილული იქნება საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლების რეკომენდაციები - მათ შორის: წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას სოციალური მედიის გამოყენების პარამეტრების განსაზღვრა; საჩივრების განხილვის პროცედურების გამარტივება; ფართო პოლიტიკური წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობის გადახედვა; მეტი მიუკერძოებელი და კვალიფიციური კანდიდატის მოზიდვის მიზნით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურების დახვეწა; და შემაჯამებელი ოქმების შევსების ცხადი წესების გაწერა, განსაკუთრებით რაოდენობრივი შეუსაბამობების შემთხვევაში;
- პოლიტიკურმა პარტიებმა პროაქტიული ნაბიჯები უნდა გადადგან, რომ მათი წევრების მხრიდან დაშინების, სიძულვილის ენის გამოყენების, დეზინფორმაციის გავრცელების და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტები გამოავლინონ და სანქციები დააკისრონ.

- საჯარო მოხელეებისთვის ქვევის წესების განმსაზღვრელი დირექტივა საჭიროა, თუმცა - არასაკმარისი. მნიშვნელოვანია, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მთავრობამ შესაბამისი მონიტორინგის მექანიზმები შეიმუშავოს;
- მთავრობამ ინკლუზიური პროცესის საშუალებით უწყებათაშორისი კომისიის ფორმატს უნდა გადახედოს. სესიები ისე უნდა იყოს სტრუქტურირებული, რომ საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტისთვის ხელშემწყობ გარემოს ქმნიდეს;
- კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ კანონის მოთხოვნების დამაზუსტებელი სახელმძღვანელო პრინციპები (გაიდლაინები) წინასწარ უნდა გამოაქვეყნოს;
- მისასალმებელია უფასო სარეკლამო დრო და მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატებს ეს შესაძლებლობა კვლავ მიეცეთ. თუმცა მედია საშუალებებისთვის ტვირთის შემსუბუქებისთვის და ხარჯის დაფარვისთვის სახელმწიფომ შესაბამისი დაფინანსება უნდა გამოყოს;
- ეთნიკური უმცირესობების თემებში საარჩევნო და პოლიტიკური ცნობიერების გაზრდისთვის პოლიტიკურმა პარტიებმა და არჩეულმა თანამდებობის პირებმა წლის განმავლობაში საინფორმაციო შეხვედრები უნდა გამართონ, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ენებზე;
- ეთნიკური უმცირესობების თემების უკეთესად ინფორმირებისთვის და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში მათი ჩართულობის გაზრდისთვის, მათ ენაზე მედია საშუალებების დაფინანსება უნდა გამოიყოს;
- საარჩევნო ადმინისტრაციამ და სასამართლომ არსებითი საჩივრები საფუძვლიანად უნდა გამოიძიოს და მხოლოდ პროცედურული მიზეზების გამო საჩივრების განხილვაზე უარის თქმას თავი აარიდოს, რითიც პატივი უნდა სცეს კანონის სიტყვას და სულისკვეთებას;
- პარლამენტმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რესურსები და საგამომიებო უფლებამოსილება გააძლიეროს და ვადები გაზარდოს, იმისთვის, რომ აუდიტის სამსახურმა კამპანიის შემოწირულობებისა და დანახარჯების შესაბამისი და მრავლისმომცველი მონიტორინგი განახორციელოს.

დელეგაცია და მისი საქმიანობა

NDI-ის დელეგაცია თბილისში 23 ოქტომბერს ჩამოვიდა. დელეგაციის წევრებმა შეხვედრები გამართეს პოლიტიკურ ლიდერებთან, კანდიდატებთან, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან. დელეგაციამ კონსულტაციები გამართა საქართველოში არსებულ მიუკერძოებელ საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (სამართლიანი არჩევნები), საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და საერთო სამოქალაქო მოძრაობა - მრავალეროვანი საქართველო (PMMG). 26 ოქტომბერს NDI-ის ექვსი სადამკვირვებლო ჯგუფი საქართველოს მასშტაბით ხუთ რეგიონში გაემგზავრა. არჩევნების დღეს NDI ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო უბნებზე უბნის გახსნის, ხმის მიცემისა და ხმის დათვლის პროცესს დააკვირდა. დელეგაცია ამომრჩევლებს, საარჩევნო ადმინისტრაციას, კანდიდატებს, პოლიტიკური პარტიების ლიდერებს, ადგილობრივ

დამკვირვებლებს და სხვა სამოქალაქო აქტივისტებს თანამშრომლობისთვის მადლობას უხდის.

NDI-ის დელეგაციის წევრები იყვნენ:

ილირე აგიმი, აშშ	მირიანა კოვაჩევიჩი, სერბეთი
მარია ბაბიჩი, სერბეთი	მელისა მუსიო, აშშ
პერ ეკლუნდი, შვედეთი	იარინა ოდინაკი, უკრაინა
კეთრინ ფინანი, კანადა	ნატაშა როთჩაილდი, აშშ
ლორი ფულტონი, აშშ	პიტერ პალმერი, გაერთიანებული სამეფო
ელსპეთ საზერსი, აშშ	კენეტ იალოვიცი, აშშ
ალან გილამი, გაერთიანებული სამეფო	ოლექსანდრ ჟეკა, უკრაინა
ოდრი გლოვერი, გაერთიანებული სამეფო	

ოთხი გრძელვადიანი ანალიტიკოსისგან შემდგარმა ჯგუფმა ა.წ. 17 სექტემბრიდან საქართველოს 9 რეგიონი და თბილისში 31 ოლქი მოინახულა და ხელისუფლებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, კანდიდატებთან და პოლიტიკურ პარტიებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასთან, საერთაშორისო და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან შეხვედრები გამართა. NDI ასევე დააკვირდა საარჩევნო კამპანიის პერიოდში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებს, საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა ტრენინგებს და ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სხდომებს. NDI არჩევნების შემდგომ პერიოდში განვითარებულ მოვლენებზე დაკვირვებას გააგრძელებს.

NDI მადლობას უხდის აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), რომელმაც დააფინანსა დელეგაციის საქმიანობა. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიასთან ერთად, NDI მხარს უჭერს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების სადამკვირვებლო საქმიანობას.

NDI არის არამომგებიანი, მიუკერძოებელი ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეების აქტიური მონაწილეობის, მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მხარდაჭერით მსოფლიოში დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობისა და განმტკიცებისათვის მუშაობს. NDI-ის მსოფლიოს ყველა რეგიონში 200-ზე მეტი არჩევნების სადამკვირვებლო მისია აქვს განხორციელებული, მათ შორის არაერთი შეფასება საქართველოში 1992 წლიდან.

NDI საკონტაქტო ინფორმაცია

ლორა თორნტონი, lthornton@ndi.org (+995 599 566 852)

დიანა ჩაჩუა, dchachua@ndi.org (+995 577 779 639)